ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
SAMTREDIA MUNICIPALITI SITY HALL

წერილის ნომერი: **62-6223130125**
თარიღი: **10/05/2023**

ადრესატი: ანა მაღლაკელიძე
პირადი ნომერი: 01017051105
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა, N 15

ქალბატონ ანა მაღლაკელიძეს

პ/ნ01017051105

ელ.ფოსტა.

Foi+request-2168-e88dd 020@asfgov.ge

ქალბატონო ანა, თქვენს მიერ 23.04.2023 წელს გამოგზავნილი წერილის პასუხად, რომელიც შეეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2013-2023 წლებში საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებულ სოციალურ პროექტებს, გაცნობებთ რომ 2013-2023 წლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია თანამშრომლობს:

1.2016 წელს საერთაშორისო ორგანიზაცია „ქეა“-მ ჩეხეთთან თანამშრომლობით და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, სამტრედიის მუნიციპალიტეტში განახორციელა პროექტი, „საქართველოში მცხოვრებ შშმ ქალებისათვის დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა“. მუნიციპალიტეტში შშმ ქალების ჩართულობით შეიქმნა ააიპ „გვირილა“, რომელმაც პანდემიის პერიოდში 2021 წელს შეწყვიტა მუშაობა.

2. 2019 წლიდან ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ - პროექტის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან, ინვალიდის სავარძლით უფასოდ უზრუნველყოფა. პროექტი ამჟამადაც მიმდინარეობს.

3. ააიპ „ჰაბიტატი თანასწორობის, მიღწევებისა და განვითარებისათვის“. მუნიციპალიტეტში შშმ პირებისათვის შექმნილია დღის ცენტრი „ლამპარი“, სადაც 18 წლის ასაკამდე შშმ სტატუსის მქონე პირები იღებენ განათლებას და სხვადასხვა მომსახურებას. მუნიციპალიტეტი თანადაფინანსებით იხდის კომუნალური გადასახადებისა და ტრანსპორტის ხარჯებს. პროექტი ამჟამადაც მიმდინარეობს.

4. ააიპ „ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის“. პროექტის მიზანია შშმ ბავშვებისათვის მულტიპროფილური მომსახურება. მუნიციპალიტეტი თანადაფინანსებით თითოეულ ბავშვზე იხდის 600 ლარს ერთჯერადად.

5. ააიპ ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი „ნაიო“. პროექტის მიზანია ბავშვთა

ფსიქოლოგიური მომსახურება, მუნიციპალიტეტი თანადაფინანსებით თითოეულ ბავშვზე იხდის 600 ლარს ერთჯერადად.

6. ააიპ „საპროტეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართული ფონდი სორქფონდი“. პროექტის მიზანია მოქალაქეთა საპროტეზო ორთოპედიული მომსახურება. მუნიციპალიტეტი თანადაფინანსებით თითოეულ მოქალაქეზე იხდის 100 - 600 ლარს ერთჯერადად.

7. ააიპ „ღია სახლი“ ბავშვთა ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი, პროექტის მიზანია ბავშვთა ფსიქოლოგიური მამსახურება. მუნიციპალიტეტი თანადაფინანსებით თითოეულ ბავშვზე იხდის 600 ლარს ერთჯერადად.

პატივისცემით,

ვლადიმერ ზაქრაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია-მერის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი